


მარიამობის მარხვა - რა შეგვიძლია მივირთვათ



მარიამობის მარხვა

14–27 აგვისტო



რა იკრძალება მარხვაში

ჯვრისწერა, ქორწილის გამართვა და სხვა დღესასწაულები, გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობა, მოწევა, სპირტიანი სასმელის მიღება, შური, ჩხუბი და ა.შ.

რა არის დაშვებული მარხვაში

ლოცვა, მონანიება, საეკლესიო მსახურებაზე დასწრება და რაც შეიძლება მეტი კეთილი საქმის კეთება

რა საკვებია დაშვებული

ხილი, სოკო, მწვანილი, ფაფები, პური, ორცხოზილა, ხილი, თხილეული, მზესუმზირა, ჩირის ასორტი და თაფლი

რა საკვებია აკრძალული

ნებისმიერი ცხოველური საკვები – ყველა სახეობის ხორცი, კვერცხი, ცხოველური ცხიმი, რძის პროდუქტები, ასევე თევზი, გამონაკლისია მხოლოდ ერთი დღე

მარიამობის მარხვა წინ უსწრებს ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს, რომელსაც მართლმადიდებლური ეკლესია 28 აგვისტოს აღნიშნავს. მარხვა 14 აგვისტოს იწყება და 27 აგვისტოს მთავრდება.

ქრისტიანულ სამყაროში, ყოვლადწმიდა სამების შემდეგ ღვთისმშობელი მარიამი იდიდება, რამეთუ იგი ქერუბიმებზე უპატიოსნესია და სერაფიმებზე აღმატებული. ეკლესიაც განსაკუთრებულ პატივს მიაგებს დედას ღვთისას. უდიდეს ათორმეტ დღესასწაულთაგან სამი – ღვთისმშობლის შობა, მიძინება და ყოვლადწმინდა მარიამის ტაძრად მიყვანება უშუალოდ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი და ამ დღეებს მართლმადიდებელი ეკლესია მარხვით ხვდება.

აღნიშნული მარხვა მძიმეა მორწმუნეებისთვის. თევზით ხსნილი მხოლოდ ფერიცვალებას, 19 აგვისტოსაა. თავისი მნიშვნელობით იგი საშობაო და პეტრეპავლობის მარხვაზე აღმატებულია.

დღესვე ტარდება წყალკურთხევის (მცირე აიაზმა) ცერემონიალიც.

/ sputnik-georgia.com